საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№2-03/19 „02“ მარტი 2019 წ.

საექსპერტო დასკვნა ქ. თბილისში, ჩაჩავას ქუჩა №2-4-6-8-10-12-ში (ს.კ. 01.13.02.04.053) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილისათვის

ექსპერტიზისათვის გადმოცემულია ქალაქ თბილისში, ჩაჩავას ქ. N2-4-6-8-10-12-ში მდებარე მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის პროექტი.

გადმოცემულია შემდეგი მასალა:

-პროექტის არქიტექტურული ნაწილი, დამუშავებული ელექტრონული სახაზავი პროგრამა ”ArchiCAD”-ის გამოყენებით. ელექტრონული ვერსია.

-პროექტის კონსტრუქციული ნაწილი,დამუშავებული შ.პ.ს. „მოდული“-ს მიერ ელექტრონული სახაზავი პროგრამა ”AutoCAD”-ის გამოყენებით A-3 ტიპის ფურცლებზე. ელექტრონული ვერსია და PDF ფაილი.

-საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა. ჩატარებული, შ.პ.ს. ”გეწგეო”-ს მიერ 2007 წელს (ელექტრონული ვერსია).

კონსტრუქციების აღწერა.

მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტი შედგება სამი ბლოკისგან და ავტოფარეხისგან. თითოეული ბლოკი მართკუთხა ფორმისაა და ერთმანეთისგან გამოყოფილია ანტისეისმური ნაკერებით. თითოეული ბლოკის მაქსიმალური გაბარიტული ზომებია ღერძებში: ბლოკი N1 Lxb=58.80x18.00 მ; ბლოკი N2 Lxb=19.80x12.60 მ; ბლოკი N3 Lxb=30.00x24.00 მ. შენობის სართულიანობა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

-ერთი მიწისქვეშა სართული ავტოსადგომებისათვის, სიმაღლით 3.3 მ;
-ერთი მიწისზედა კომერციული დანიშნულების სართული, სიმაღლით 4.20 მ;
-თექვსმეტი საცხოვრებელი სართული, სიმაღლით 3.30 მ;

შენობის მზიდი კონსტრუქციები გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშირებიანი სივრცული სისტემის სახით. კავშირებად გამოყენებულია სიხისტის დიაფრაგმები, სისქით 35÷30 სმ. ჩარჩოს სვეტების განივი კვეთები სართულების სიმაღლის მომატებასთან ერთად იცვლება, bxh=80x80 სმ; bxh=70x70 სმ; bxh=60x60 სმ.

სართულშუა გადახურვებად ყველა ნიშნულზე გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი (რიგელიანი) ფილები, სისქით 16 სმ. წიბოების (რიგელების) განივკვეთი ყველა დონეზე იდენტურია bxh=50x60 სმ. გარდა 4.10 ნიშნ. სადაც რიგელების განივი კვეთებია bxh=50x70 სმ.

კიბის მარშები - დახრილი, მთლიანკვეთიანი რკინაბეტონის ფილები სისქით δ=16სმ. მონოლითური საფეხურებით.

შენობის პერიმეტრზე ჩარჩოებს შორის ნაწილში, რომელიც ივსება წყობით, გამოყენებულია პემზობეტონის წვრილი საკედლე ბლოკი სისქით 30 სმ.

შენობის საძირკველი წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის მთლიანკვეთიან ფილას სისქით 150 სმ.

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნიდან გამომდინარე საძირკვლის ფუძედ მიღებულია ძირითადი ქანები (გეოლოგიურ ჭრილში ფენა N4) თიხიანი ქვიშებისა და არგილიტების მორიგეობა.

შენობის საძირკვლის ძირის ქვეშ, გათვალისწინებულია 10სმ. სისქის ბეტონის მომზადება.

კონსტრუქციებისათვის ბეტონის სიმტკიცის კლასი მიღებულია „B25" ხოლო არმატურის კლასი A500C, AC-I.

შენობა გაანგარიშებულია თანამედროვე ავტომატური საანგარიშო კომპლექსის LIRA SAPR 2013 R3 საშუალებით, J = 8 ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე.

პროექტი შედგენილია დღეისათვის ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების საფუძველზე.

დასკვნა:

საპროექტო ორგანიზაცია შ.პ.ს "მოდული"-ს მიერ ჩატარებულია დიდი მოცულობის სამუშაოები. შენობა გაანგარიშებულია და პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შედგენილია სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნათა სრული დაცვით, რაც უზრუნველყოფს შენობების უსაფრთხო მუშაობას საექსპლოატაციო პერიოდში მასზე მოსალოდნელი შესაძლო საანგარიშო სტატიკური და სეისმური ზემოქმედებისას. გრაფიკული მასალა მდიდარია და იძლევა საშუალებას მაღალხარისხოვანი მშენებლობის წარმოებისათვის.

შენიშვნები:

პროექტის მიმართ შენიშვნები არა გვაქვს. გვაქვს მხოლოდ მითითება. კერძოდ: სასურველია განმარტებით ბარათში მიეთითოს შემავსებელის წყობის ხსნარის მარკა, რომელიც ჩვენი პირობებისათვის ნორმების თანახმად მიღებული უნდა იქნას M25 მარკის ცემენტ-ქვიშწარის ხსნარი. პროექტს რეკომენდაციას ვუწევთ განსახორციელებლად.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/

ტელეფონის ნომერი: +995 599 15 66 49
ელექტრონული ფოსტა: Ltdmonoliti@gmail.com